



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 213/ს
26/07/2022

213-21-4-202207261709



თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე შპს „სტორი ენერჯის“ 11,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („სტორი 2 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „სტორი ენერჯის“ (ს.კ 416351076) მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე 11,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („სტორი 2 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე განთავსება. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შედგენილია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2021 წლის 4 ივნისს შპს „სტორი ენერჯის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილ იქნა თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე 11,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („სტორი 2 ჰესი“) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N48; ბრძანება N2-1208 29.07.2021).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს მდ. სტორისა და მდ. სვიანასხევის ჰიდროპოტენციალის ათვისებას ზღვის დონიდან 767 მ და 632 მ ნიშნულებს შორის. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, ფშაველის თემში, სოფ. ლეჩურში. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 4 კმ-ის დაშორებით.

ჰესის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის მოწყობა:

- წყალმიმღები სტორი 1 ჰესის გამყვან არხზე;
- მილსადენი სტორი 1 ჰესის გამყვან არხსა და გამყვან გვირაბს შორის მოქცეულ მონაკვეთზე;
- გამყვანი გვირაბი;
- სათავე ნაგებობა მდ. სვიანასხევეზე, რომელიც მოიცავს ტიროლის ტიპის წყალმიმღებს, სალექარს და თევზსავალს;
- მდ. სვიანასხევის წყლის დაბალდაწნევიანი მილსადენი;
- გამთანაბრებელი ავზი და სადაწნეო აუზი;
- სადაწნეო მილსადენი გამთანაბრებელი ავზიდან ჰესი შენობის ძალური კვანძის მიმართულებით;
- ჰესის შენობა და 110 კვ ძაბვის ქვესადგური;

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, რომელიც მოიცავს სათავე ნაგებობისა და ძალური კვანძის განთავსების ალტერნატივებს, ასევე წყალსატარი სისტემის ტიპისა და დერეფნის ალტერნატივებს და არაქმედების ალტერნატივას.

მდ. სვიანასხევეზე სათავე ნაგებობის განთავსებისთვის განხილულია ორი ალტერნატიული ტერიტორია ზღვის დონიდან 770 და 880 მ ნიშნულებს (სათავე ნაგებობის თხემის ნიშნული) შორის. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით (მათ შორის სტაბილური გეოლოგიური პირობების, არსებული მისასვლელი გზის და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შედარებით ნაკლები ზემოქმედების გათვალისწინებით) უპირატესობა მიენიჭა 770 მ ნიშნულს. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს სათავე ნაგებობის shp ფაილები და სქემატური ნახაზები GPS კოორდინატთა ბადით.

მდ. სტორის წყლის სტორი 2 ჰესის სადაწნეო აუზში მიწოდებისათვის განხილულია ორი ალტერნატიული ვარიანტი: I - სათავე ნაგებობის მოწყობა მდ. სტორის და მდ. ეშმაკისდელის შესართავის ქვედა დინებაში; II - წყლის აღება უშუალოდ სტორი 1 ჰესის გამყვანი არხიდან. გარემოზე ნაკლები ზემოქმედების და ტექნიკური უპირატესობის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა II ალტერნატივას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, **მდ. სვიანასხევეზე წყალსატარის დერეფნის** ალტერნატიული ვარიანტებიდან ტექნიკური უპირატესობის, ბიოლოგიურ გარემოზე ნაკლები ზემოქმედების და სხვა გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით (მათ შორის ახალი ტერიტორიის ათვისებისა და მოსალოდნელი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით), უპირატესობა მიენიჭა წყალსატარი დერეფნის მოწყობას მდ. სტორის მარჯვენა ნაპირზე. აღსანიშნავია, რომ მდინარის მარცხენა სანაპიროს გეომორფოლოგიური პირობები, მარჯვენა სანაპიროსგან განსხვავებით შედარებით არასტაბილურია და საჭიროებს სხვადასხვა მონაკვეთებზე ფერდების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას.

მდ. სვიანასხევეზე და მდ. სტორზე მოსაწყობი წყალსატარი სისტემების ტიპების ალტერნატიული ვარიანტებიდან მდ. სვიანასხევის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა

მილსადენის მოწყობის ვარიანტს, ვინაიდან მილსადენის დერეფნის მოწყობა შესაძლებელი იქნება არსებული გზის დერეფანში და საჭირო არ იქნება ახალი ტერიტორიის ათვისება, ხოლო მდ. სტორის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა დაბალდაწნევიან გვირაბის მოწყობის ვარიანტს, ვინაიდან ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი იქნება მხოლოდ გვირაბის შესასვლელი და გამოსასვლელი პორტალების მოწყობისას. გვირაბი გაყვანილი იქნება მდ. სტორის მარჯვენა ფერდის სიღრმეში.

სტორი 2 ჰესის შენობის განთავსებისთვის განხილული ორი ალტერნატიული ტერიტორიიდან, მისასვლელი გზის არსებობის, ხელსაყრელი რელიეფური პირობებისა და ხე-მცენარეებისგან თავისუფალი ტერიტორიის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ტერიტორია. Shp ფაილების მიხედვით, ჰესის შენობის საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია X-536236.88, Y-4670039.47.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით (2021 წლის 2 დეკემბრის N21698 და 2022 წლის 11 მარტის N5216 წერილებით), შპს „სტორი ენერჯიმ“ წარმოადგინა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა: დამატებით ჰიდროლოგიურ საკითხებს; თევზსავალის დეტალურ ჰიდრაულიკურ გაანგარიშებებს; ბიომრავალფეროვნების კვლევებთან და შესაბამის შემარბილებელ/საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით დაზუსტებულ ინფორმაციას, ასევე ეკოლოგიური ხარჯის და წყლის საკმარისობის დამატებით დასაბუთებას; კუმულაციური ზემოქმედების დამატებით შეფასებას, მათ შორის წყლის შემცირების გამო ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით; თევზსავალზე და მის ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხებს, ხარჯმზომების მოწყობას, მდინარეების ხარჯის მონიტორინგს და სხვა საკითხებს; აღნიშნული დამატებითი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებულ საზოგადოებას განესაზღვრა შენიშვნების/მოსაზრებების წარდგენის შესაბამისი ვადები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო „სტორი 2“ ჰესი იმუშავებს მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე. საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრეა - 11,9 მგტ, საშუალო წლიური გამომუშავა - 51.8 გგტ/სთ. სტორი 2 ჰესის მოწყობა დაგეგმილია სტორი 1 ჰესის ქვედა ბიეფში ისე, რომ გამოყენებული იქნეს სტორი 1 ჰესის გამომუშავებული წყალი, მდ. სტორზე დამატებით ახალი სათავე ნაგებობის მოწყობის გარეშე. საპროექტო „სტორი 2“ ჰესს „სტორი 1 ჰესის“ მიერ გამომუშავებული წყალი მიეწოდება გამყვანი არხიდან. სტორი 2 ჰესის სქემა შერჩეულია ისე, რომ სტორი 1 ჰესის გამყვანი არხიდან გამომუშავებული წყალი ჩაედინება საპროექტო „სტორი 2 ჰესის“ სადაწნეო სისტემაში (აუზში). ჰესის სადერივაციო სისტემა მოიცავს სხვადასხვა დიამეტრის მქონე მილსადენებს და გვირაბს. სტორი 1 ჰესის მიერ გამომუშავებულ წყალთან ერთად, სადაწნეო სისტემაში გათვალისწინებულია მდ. სვიანასხევის წყლის ჩართვა, რისთვისაც მდ. სვიანასხევეზე დაგეგმილია ტიროლის ტიპის წყალმიმღები ნაგებობის მოწყობა, რომლის სიმაღლე

მდინარის ფსკერიდან იქნება 5.8 მ. Shp ფაილების მიხედვით, წყალმიმღების საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია X-534941.02, Y-4670872.17. წყალმიმღების ზედა ბიეფში შეიქმნება მცირე შეგუბება (რომლის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება 200 მ²). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წყალმიმღებთან ზედა ბიეფის ფსკერდაღრმავების სამუშაოების ჩატარების საჭიროება არ არსებობს.

საპროექტო ჰესის სადერივაციო-სადაწნეო სისტემა დაყოფილია სამ უბნად:

- პირველ უბანზე ჰესის სადაწნეო აუზთან, მდ. ეშმაკისღელეს მარჯვენა ნაპირზე მოეწყობა 522 მ სიგრძის, 2,20 მ დიამეტრის მქონე ლითონის მიწისქვეშა მილსადენი. ტერიტორია წარმოდგენილია სწორი რელიეფით და უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მილსადენის მოსაწყობად. მილსადენი ტრანშეის სიღრმე აღნიშნულ უბანზე იქნება არანაკლებ 1.0-1.5 მეტრი. პროექტის მიხედვით, აღნიშნულ უბანზე საჭირო იქნება მდ. სტორის გადაკვეთა, რისთვისაც გამოყენებული იქნება აკვედუკი, რომლის ბურჯების საძირკვლები დაპროექტებულია მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმისა და კალაპოტის მაქსიმალური წარეცხვის დონის გათვალისწინებით (3,50 მ);
- მეორე უბანზე, მილსადენი უკავშირდება სადერივაციო გვირაბს, რომელიც მოეწყობა მდ. სტორის მარჯვენა ნაპირზე. გვირაბის სიგრძე იქნება 2290 მ, დიამეტრი - 2.8 მ.
- მესამე უბანზე გვირაბი დაუკავშირდება 379 მ სიგრძის და 2,2 მ დიამეტრის მქონე მიწისქვეშა მილსადენს, რომელიც განთავსდება მდ. სტორის მარჯვენა ნაპირზე, არანაკლებ 1.0-1.5 მ სიღრმის ტრანშეაში. აღნიშნული უბნის ფარგლებში, საპროექტო ჰესისთვის მდ. სვიანასხევიდან დამატებითი წყლის ხარჯის მიწოდების მიზნით, მოეწყობა ლითონის 1200 მ სიგრძის და 800 მმ დიამეტრის მილსადენი (სადაწნეო სისტემაში მილსადენების ჯამური სიგრძე იქნება 1188 მ). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მდ. სტორიდან და მდ. სვიანასხევიდან წამოსული წყლის ნაკადის შეკრება გათვალისწინებულია გამთანაბრებელ ავზში, რომელიც წარმოადგენს 19,2 მ სიმაღლის კვადრატის ფორმის (ზომით 5,0 x 5,0 მ) რკინაბეტონის ნაგებობას. Shp ფაილების მიხედვით, გამთანაბრებელი ავზის ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია X-536116.57, Y-4670273.19. გამთანაბრებელი ავზიდან გამომავალი წყალი 287 მ სიგრძის და 1.8 მ დიამეტრის მიწისქვეშა ლითონის მილსადენით დაუკავშირდება ჰესის შენობას. მილსადენი განთავსდება მიწისქვეშ არანაკლებ 1-1,5 მ სიღრმეზე.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის ზედა და ქვედა ბიეფებში იქთიოფაუნის მიგრაციისათვის თევზების სახეობების, ტექნიკური (ტოპოგრაფია, არსებული სივრცე, ძირითად ნაგებობათა ზომების და ზედა და ქვედა ბიეფებს შორის დონეთა სხვაობა) და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, შერჩეულ იქნა საფეხურებიანი ტიპის თევზსავალი, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთისაგან ხვრეტებიანი ტიხრებით გამოყოფილ, მცირე ზომის აუზების კასკადს. საპროექტო თევზსავალის საფეხურის ზომების სიგრძე იქნება - 1,40 მ, სიგანე 1,05 მ, საფეხურში წყლის სიღრმე - 1 მ. საფეხურებს შორის წყლის დონის სხვაობა იქნება 0.2 მ

(წყლის დონის ნიშნული თევზსავლის შესასვლელში იქნება 771,3 მ, ხოლო გამოსასვლელში 765,3 მ). **თევზსავალში გასატარებელი წყლის ხარჯი იქნება 0,10 მ³/წმ.**

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების მიზნით პროექტი ასევე ითვალისწინებს წყალმიმღებზე წვრილი გისოსის მოწყობას, რომელიც ამცირებს წყალმიმღებში დიდი ზომის თევზების მოხვედრის რისკს. გარდა აღნიშნულისა, ასევე გათვალისწინებულია სპეციალური თევზამრდი მოწყობილობის დამონტაჟება, რომელიც მუშაობს ე.წ „ეარლიფტის“ პრინციპზე, კერძოდ: ჰაერის ნაკადი მიემართება წყლის ზედაპირისკენ და ამოსვლისას მოაქვს მაღალი სიმკვრივის მყარი ნაწილაკები და თევზები..

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მდ. სტორის, მდ. სვიანასხევის და მდ. ეშმაკისდელის ჰიდროლოგიური რეჟიმები და ჰიდრაულიკური პარამეტრები, მათ შორის სხვადასხვა უზრუნველყოფის გათვალისწინებით, მდინარეების წყლის მაქსიმალური ხარჯები, მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის დამოკიდებულების მრუდები და კალაპოტის გარეცხვის სიღრმეები (გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მდ. სვიანასხევის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმეა 3,5 მ, ხოლო მდ. სტორის - 5,35 მ) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მდ. სტორის ეკოლოგიური ხარჯი საპროექტო კვეთში (არსებული სტორი 1 სათავე ნაგებობის ქვემოთ) იქნება 0,60 მ³/წმ (შენაკადების გარეშე), ხოლო მდ. სვიანასხევის - 0,2 მ³/წმ-ის (შენაკადების გარეშე), რაც შეადგენს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 23%-ს. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ენერგეტიკული დანიშნულებით ასაღები წყლის მაქსიმალური მოცულობა მდ. სვიანასხევეზე შეადგენს 2,04 მ³/წმ-ს. აღნიშნული რაოდენობით წყალაღება მოხდება მდინარის წყალუხვობის პერიოდში (მაისის თვეში). სტორი 2 ჰესის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთებზე მინიმალური ეკოლოგიური ხარჯების მოცულობები შენაკადების დამატებით იქნება:

- სტორი 2 ჰესის პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მდ. ეშმაკისდელეს 500 მ სიგრძის მონაკვეთზე შენაკადების ხარჯი შეადგენს არანაკლებ 0,17 მ³/წმ-ს, შესაბამისად მდინარის 0,2 მ³/წმ ეკოლოგიური ხარჯი შენაკადების დამატებით გაიზრდება 0,37 მ³/წმ-მდე.
- სტორი 2 ჰესის გავლენის ზონაში მოქცეულ მდ. სტორის მონაკვეთზე (მდ. ეშმაკისდელეს შესართავიდან სტორი 2 ჰესის შენობის კვეთამდე) შენაკადების დამატებით ეკოლოგიური ხარჯი (0,60 მ³/წმ) გაიზრდება და იქნება - 0,774 მ³/წმ.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის ძალოვანი კვანძი განთავსებული იქნება მდ. სტორის მარჯვენა სანაპიროს პირველ ტერასაზე (GPS კოორდინატები: X-536236.00 Y-4670039.00). ჰესის შენობის გაბარიტებია: სიგრძე 18 მ, სიგანე 14,6 მ, სიმაღლე 15 მ. ჰესის შენობაში მოეწყობა ხიდური ამწე, ორი „ფრენსისის“ ტიპის ჰორიზონტალური ტურბინით და სინქრონული გენერატორით, სამანქანო დარბაზი და სხვადასხვა დანიშნულების სივრცეები. შენობაში დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. ჰესის მიერ გამოიმუშავებული წყალი გამყვანი არხით ჩაშვებული იქნება მდ. სტორში.

ქვესადგური (ღია გამანაწილებელი მოწყობილობა) განთავსდება ჰესის შენობის მიმდებარედ (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-536249.5632 Y-4670021.3043). ტერიტორია შემოღობილი იქნება ლითონის ბადის ღობით. ქვესადგურში დამონტაჟდება ძალოვანი ტრანსფორმატორი, სადაც საგენერატორო ძაბვა გაიზრდება 110 კვ-მდე. საკუთარი მოხმარებისათვის ტრანსფორმატორთან ერთად, გათვალისწინებულია სარეზერვო დიზელ-გენერატორის განთავსება, რომელიც ქსელიდან ძაბვის დაკარგვის შემთხვევაში ავტომატურად ჩაირთვება.

სტორი 1 ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით დაუკავშირდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საკუთრებაში მყოფ, დაგეგმილ 110კვ-იან საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზს - „სტორიჰესი - ახალი თელავი“ და ჩართული იქნება ელექტრომომარაგების ქსელში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის მომზადებას და შესაბამისი პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობაა 24 თვე. მდინარის კალაპოტში შესასრულებელი სამუშაოები განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში. გვირაბის მოწყობა გათვალისწინებულია ბურღვა-აფეთქების მეთოდით, ერთდროულად შესასვლელი და გამოსასვლელი პორტალებიდან.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება „სტორი 1 ჰესის“ არსებული სამშენებლო ბანაკი და მისი ინფრასტრუქტურა. არსებული სამშენებლო ბანაკი მდებარეობს მდინარე სტორის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე, საპროექტო ჰესის ტერიტორიიდან დაახლოებით 2,7 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 780 მ ნიშნულზე (GPS კოორდინატები X-538170 Y-4671700). მშენებლობის პერიოდში საპროექტო ჰესის შენობის მიმდებარედ მოეწყობა მცირე ზომის სამშენებლო მოედანი, სადაც მოხდება სამშენებლო მასალების დასაწყობების ადგილის, ტექნიკის სადგომის, მუშათა დასასვენებელი ვაგონ-კონტეინერის და სხვა მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა. მშენებლობის პროცესში დასაქმებული იქნება დაახლოებით 87 ადამიანი. პერსონალი იმუშავებს ცვლების მიხედვით, სამშენებლო მოედნებზე მყოფი პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 40. ჰესის შენობის მიმდებარედ დაგეგმილი სამშენებლო მოედნის ელექტრომომარაგება მოხდება სტორი 1 ჰესის სამშენებლო ბანაკიდან. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჰესის მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო და ინერტული მასალების შემოტანა მოხდება მზა სახით. მშენებლობაში გამოყენებულ იქნება: ავტოთვითმცლელი, ბულდოზერები, ექსკავატორები, მობილური ამწეები და სხვა დამხმარე ტექნიკა.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მისასვლელი გზების მოწყობა, ჯამური სიგრძით 3 კმ. გზების მოწყობა გათვალისწინებულია ძირითადად მდინარე სვიანასხევის მიმართულებით სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად და შემდგომში ჰესის ექსპლუატაციისათვის. ვინაიდან, მისასვლელი გზების დერეფანი

ძირითადად მიუყვება ადგილობრივ სატყეო გზას, მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს ადგილი არ ექნება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მდ. სვიანასხევზე დაგეგმილი სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების პერიოდში წყლის გატარება მოხდება დროებითი ზღუდარების და სადერივაციო არხის საშუალებით. სათავე ნაგებობის მშენებლობის დაწყებამდე ნაგებობის განთავსების კვეთის ზედა და ქვედა ბიეფებში მოეწყობა 2,5 მ სიმაღლის დროებითი ზღუდარები და მდინარის წყლის დროებითი გადაგდება მოხდება მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მოსაწყობ დროებით სადერივაციო არხში, რომელიც გათვალისწინებული იქნება მდ. სვიანასხევის 10 წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური ხარჯის გატარებაზე.

სადაწნეო მილსადენის განთავსებისათვის თხრილის მომზადება დაგეგმილია ექსკავატორის საშუალებით, მილის განთავსება მოხდება წინასწარ მომზადებული გზის ვაკისზე და ფერდობების დამატებით ჩამოჭრა საჭირო არ იქნება. მილსადენის განთავსების შემდეგ მოხდება თხრილების დაფარვა ექსკავირებული გრუნტით.

გვირაბის გაყვანა გათვალისწინებულია სამთო ხერხით, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებით. ვიბრაციის შემცირების მიზნით ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებში გამოყენებული იქნება მცირე მუხტები. გვირაბის გაყვანის სამუშაოები შესრულებული იქნება შესასვლელი და გამოსასვლელი პორტალებიდან და სამშენებლო შტოლნიდან. გვირაბის მშენებლობის პროცესში გამონამუშევარი ქანების გამოტანისა და გვირაბში სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება მცირე ზომის და მაღალი წარმადობის ტექნიკა. გვირაბიდან გამოტანილი ქანების დროებითი დასაწყობება მოხდება პორტალის მიმდებარედ და შემდეგ თვითმცლელი ავტომანქანებით გადატანილი იქნება მუდმივი დასაწყობების ადგილებზე (სანაყაროებზე). გვირაბის ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტილებები მიღებულია ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების, წყლის შიგა დაწნევის კოეფიციენტისა და მშენებლობის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სტორი 2 ჰესის სადერივაციო დერეფნის ფარგლებში დღეისათვის არსებობს მიწისქვეშა წყლების მხოლოდ ერთი გამოსავალი, კერძოდ: წყარო მდებარეობს საპროექტო გვირაბის ქვედა ნიშნულებზე. სტორი 2 ჰესის სადერივაციო გვირაბის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე დაგეგმილია მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და დებიტის მონიტორინგის წარმოება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. მშენებლობის ფაზაზე წყაროს წყლის ხარისხის და დებიტის კვლევა ჩატარდება კვარტალში ერთხელ, გვირაბის მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაზე წყაროს წყლის დებიტის კვლევა ჩატარდება კვარტალში ერთხელ, ექსპლუატაციის პირველი 5 წლის განმავლობაში. გარდა აღნიშნულისა, სადერივაციო გვირაბის ექსპლუატაციის პირველი 5 წლის განმავლობაში ყოველთვიურად ჩატარდება გვირაბის დერეფნის გასწვრივ საავტომობილო გზის მიმდებარე ფერდობების ვიზუალური აუდიტი, მიწისქვეშა წყლების ახალი გამოსავლების დაფიქსირების მიზნით. არსებული წყაროს დებიტის გაზრდა ან მიწისქვეშა წყლების ახალი გამოსავლების წარმოქმნა პირდაპირ მიუთითებს გვირაბიდან წყლის ფილტრაციაზე და საჭირო იქნება გვირაბის ექსპლუატაციის შეჩერება, შესაბამისი

მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების მიზნით. სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებით საპროექტო ტერიტორია კვეთს სტორის დიაბაზისა და ასპიდური ფიქლების გამოვლინებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების შედეგად არ მოხდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა.

მშენებლობის ეტაპზე, წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. ტექნიკური მიზნით წყალმომარაგება მოხდება სამშენებლო მოედანზე, სადაც შესაძლოა საჭიროების შემთხვევაში განთავსდეს ბეტონის კვანძი (წარმადობა - 30 მ³/სთ). სამშენებლო მოედნის წყალმომარაგება გათვალისწინებულია დაღმავალი ტიპის წყაროდან. ბეტონის კვანძის მოწყობის შემთხვევაში წლის განმავლობაში გამოყენებული იქნება 1170 მ³ წყალი (წყლის საათური ხარჯი შეადგენს 3,9 მ³, ხოლო დღე-ღამეში საჭირო იქნება 31.2 მ³ წყალი).

მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის, სტორი 1 ჰესის არსებული სამშენებლო ბანაკის და სამშენებლო ბაზის ტერიტორიებზე მოწყობილია დაახლოებით 15-20 მ³ ტევადობის საასენიზაციო ორმოები, ხოლო საპროექტო ჰესის სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია ბიოტუალეტები. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება 10-15 მ³ ტევადობის საასენიზაციო ორმოში, რომლის გატანა მოხდება შესაბამისი სამსახურის მიერ. გვირაბის გაყვანის პროცესში მოსალოდნელი ნაჟური წყლების მართვის მიზნით გვირაბის შესასვლელ და გამოსასვლელ პორტალთან დაგეგმილია სალექარების (სასედიმენტაციო გუბურა) მოწყობა, საიდანაც წყლების ჩაშვება მოხდება მდ. სტორის ხეობაში (GPS კოორდინატები: X-536407 Y-4670237; X-537393 Y-4671034; X-538220 Y-4671691;).

პროექტის მიხედვით, სტორი 2 ჰესის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი გრუნტის სავარაუდო მოცულობა იქნება 57 000 მ³. ექსკავირებული გრუნტის დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილებისთვის და მისასვლელი გზების ვაკისების მოსაწყობად, დანარჩენი განთავსდება სანაყაროებზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სავარაუდოდ ორი სანაყაროს მოწყობა, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს მესამე სანაყაროს მოწყობა, შესაბამისად შერჩეულია მესამე სანაყაროს ტერიტორიაც.

პირველი სანაყაროს სავარაუდო ტერიტორია, რომლის ფართობი შეადგენს დაახლოებით 600 მ²-ს, მდებარეობს მდ. სტორის მარჯვენა სანაპიროს პირველ ტერასაზე (სანაყაროს GPS კოორდინატებია: X-536090 Y-4669848; X-536078 Y-4669793; X-536093 Y-4669756; X-536127 Y-4669832). მცენარეული საფარი წარმოდგენილია მხოლოდ შერჩეული ტერიტორიის გარე პერიმეტრზე, შესაბამისად სანაყაროს მოწყობა და ექსპლუატაცია მცენარეულ საფარზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. სანაყარომდე მისვლა შესაძლებელია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფშაველი-აბანო-ომალის საავტომობილო გზით და ახალი მისასვლელი გზის მოწყობა საჭირო არ იქნება.

მეორე სანაყაროსთვის შერჩეული სავარაუდო ტერიტორია მდებარეობს მდ. სტორის და მდ. სვიანასხევის შესართავის მიმდებარედ (GPS კოორდინატები: X-537362 Y-4670887; X-537382 Y-4670916; X-537377 Y-4670940; X-537364 Y-4670933), რომლის ფართობი შეადგენს

3700 მ²-ს. ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე ხე-მცენარე, რომლის მოჭრა პროექტის მიხედვით დაგეგმილი არ არის. სანაყარომდე მისვლა შესაძლებელია არსებული გზით და ახალი მისასვლელი გზის მოწყობა დაგეგმილი არ არის.

მესამე სანაყაროს ტერიტორია, ფართობით 2830 მ², მდებარეობს მდ. სტორის მარჯვენა სანაპიროზე ჰესის ძალური კვანძის განთავსების ტერიტორიის მიმდებარედ (GPS კოორდინატები: X-536161 Y- 4669960; X-536149 Y-4669943; X-536192 Y-4669948; X-536214 Y- 4670003). ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და უზრუნველყოფილია მისასვლელი გრუნტის გზით. აღნიშნული სანაყარო სარეზერვოა და მისი გამოყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოხდება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მაქსიმალური მოცულობა იქნება 800 მ³. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით. ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ, საწვავ-საპოხი მასალების და სამშენებლო მასალების შენახვის წესების დარღვევამ, ასევე სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე.

ჰესის მშენებლობის ეტაპზე მიწისქვეშა წყლების დებიტზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს გვირაბის გაყვანის სამუშაოებმა, კერძოდ: შესაძლებელია მოხდეს მიწისქვეშა წყლების წყალშემცველი ქანების გადაკვეთა და ქვედა ნიშნულებზე არსებული წყაროების დებიტის შემცირება. გვირაბის გაყვანის პროცესში, მიწისქვეშა წყლებით მდიდარი ქანების გადაკვეთის შემთხვევაში არსებობს წყლების დაბინძურების რისკი, რომლის შემცირების მიზნით გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. საპროექტო ნაგებობების ქვაბულების მომზადების პროცესში შესაძლებელია მოხდეს გრუნტის წყლების შემოდინება. ქვაბულებიდან გრუნტის წყლების მოცილება მოხდება ტუმბოების გამოყენებით. გრუნტის წყლების შემოდინების შემთხვევაში წყლის დაბინძურების რისკები დაკავშირებული იქნება ნავთობპროდუქტების და სხვა ნივთიერებების დაღვრასთან და დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადაადგილებასთან. ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია ტრანსფორმატორებისა და დიზელ-გენერატორის ქვეშ ავარიულად დაღვრილი ზეთის შემკრები ავზების, ასევე სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემების მოწყობა. გარდა ამისა, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გრუნტის წყლების ხარისხის დაცვასთან დაკავშირებით სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშში ასახულია პროექტის განხორციელების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების წყაროს წარმოადგენს ჰესის სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკა და დანადგარები. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ მშრალ ამინდებში მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით გზების და სამშენებლო მოედნების პერიოდული მორწყვა, მანქანების და დანადგარ-მექანიზმების გამართულობის კონტროლი და ა.შ. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანია, რომ სამშენებლო დერეფანი და საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურა დიდი მანძილით (4 კმ) არის დაშორებული დასახლებული პუნქტიდან.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში და ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა და დანადგარები, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ჰიდროტურბინები, რომლებიც მოთავსებული იქნება დახშულ კორპუსში (გარსაცმში), რასაც ხმაურის შთანთქმის მაღალი მაჩვენებელი გააჩნია. ხმაურის გავრცელებას ასევე შეამცირებს შიდა ინტერიერში მოწყობილი ხმაურსაიზოლაციო მასალები და ჰესის შენობა. მშენებლობის პერიოდში ხმაურის ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მასალების სატრანსპორტო ოპერაციებთან, რისთვისაც გამოყენებული იქნება ადგილობრივი გზები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ძირითადი სამშენებლო მასალების და საჭირო დანადგარ-მექანიზმების ტრანსპორტირება მოხდება მობილიზაციის ეტაპზე, ხოლო უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების პროცესში სატრანსპორტო ოპერაციები ძირითადად შესრულდება სამშენებლო მოედნიდან სამშენებლო უბნების მიმართულებით, სადაც დასახლებული პუნქტები განლაგებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სატრანსპორტო ოპერაციებით მოსახლეობაზე ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი. რაც შეეხება ექსპლუატაციის პერიოდს, ჰესის შენობიდან გამომავალი ხმაურის დონის (სავარაუდოდ 80 დბა) და უახლოესი დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (4 კმ) ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ მონაცემებით, წარმოდგენილი 22 341 კვ.მ. ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 15930 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყეს (თელავის სატყეო უბნის ფშაველის სატყეო, კვარტალი NN24;25;26;39;40;43). შპს „სტორი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს ახლავს ტყეკაფის აღრიცხვის უწყისები კონკრეტული ადგილებისა და ფართობების მითითებით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. ბიომრავალფეროვნების სავლე კვლევები განხორციელდა 2021 წლის აგვისტოს თვეში. ფლორისტული

კვლევების მიხედვით, საპროექტო ჰესის დერეფანი გვხვდება ფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი ტყით, რომელშიც შერეულია რცხილა, ივანი, მუხა, ცაცხვი, ნეკერჩხალი უმნიშვნელოდ წაბლი და სხვა სახეობები. სიმაღლის მატებასთან ერთად ტყეს ერევა წიფელი, რომელიც შემდგომ დომინირებს სხვა სახეობებზე. მდინარეების ნაპირებთან განვითარებულია მურყნარები, ლაფანის და ვერხვების ერთეული ინდივიდებით. ღია ადგილებში გვხვდება მაცვალი, ანწლი და ბალახეულობა. ორივე ხეობა ძლიერ ნესტიანია, რის გამოც ხეები ხავსით არის დაფარული. საველე კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო არეალში იდენტიფიცირებულია 4 ტიპის ჰაბიტატი, რომლებიც ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) EUNIS-ის ჰაბიტატების ნუსხის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგ ჰაბიტატებად: G1 ფართოფოთლოვანი (შერეული) ტყე; G1.6 წიფლნარი; G1.21 მდინარისპირა მურყნარ-იფნარი (*Alnus barbata*, *Fraxinus excelsior*) ტყე; J აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენური ჰაბიტატები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჰესის დერეფნის გარკვეულ ნაწილზე საჭირო იქნება მცენარეების გარემოდან ამოღება, თუმცა პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე, საპროექტო დერეფანში წარმოდგენილი რომელიმე ჰაბიტატის გაქრობა მოსალოდნელი არ არის. კვლევის შედეგების მიხედვით საპროექტო არეალში და მის მიმდებარედ დაფიქსირდა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი 3 სახეობა: კაკალი (*Juglans regia*), წაბლი (*Castanea sativa*) და ლაფანი (*Pterocarya pterocarpan*), საიდანაც ლაფანი რამდენიმე ინდივიდის სახით წარმოდგენილია მდინარისპირა მურყნარ-იფნარი ტყის ჰაბიტატში, თუმცა აღნიშნული სახეობის გარემოდან ამოღებას ადგილი არ ექნება. პროექტის ფარგლებში, ზემოაღნიშნული წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან გარემოდან ამოღებას ექვემდებარება ერთი კაკლის ხე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საპროექტო არეალში და მის მიმდებარედ გამოვლენილია ძუძუმწოვრების 40-მდე, ხელფრთიანების 15, ფრინველების 90-ზე მეტი, ქვეწარმავლების 18, ამფიბიების 20-მდე, ასევე მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. საველე კვლევები განხორციელდა 2021 წლის აგვისტოს თვეში, რომლის ფარგლებში დაფიქსირდა: შველი *Capreolus capreolus* (გვირაბის შესასვლელი პორტალის სიახლოვეს), ასევე მელას (*Vulpes vulpes*) და კვერნას (*Martes sp.*) ექსკრემენტები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ ტერიტორიებზე ძირითადად ბინადრობენ წვრილი, კავკასიონზე ფართოდ გავრცელებული და მრავალრიცხოვანი ძუძუმწოვრები და ფრინველები. მსხვილი ძუძუმწოვრები და მტაცებელი ფრინველები საკვლევ ტერიტორიაზე იშვიათად, სხვადასხვა სეზონზე შემოდიან საკვების მოსაპოვებლად ან მიგრაციის დროს. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით პროექტის განხორციელების რეგიონში წითელი ნუსხის სახეობებიდან ბინადრობს მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), წავი (*Lutra lutra*).

ორნითოფაუნის მხრივ, გზმ-ის ანგარიშის მიხედვით საქართველოში გავრცელებული 403 სახეობის ფრინველიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფრინველთა დაახლოებით 93 სახეობაა გამოვლენილი, საიდანაც 31 სახეობა საველე კვლევის დროსაც დაფიქსირდა. დაფიქსირებულ ფრინველთა უმრავლესობა ტყეებთან, ბუჩქნართან, ველებთან და

წყალთან დაკავშირებული სახეობებია. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო დერეფანი არ არის მოქცეული საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში (Special protection areas) და არ ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილებს (Important bird areas – IBA). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გადამფრენ ფრინველთა ერთ-ერთი სამიგრაციო მარშრუტი გადის საპროექტო ტერიტორიაზე, თუმცა აღნიშნული მარშრუტი არ წარმოადგენს ფრინველთათვის არც შეჩერების და არც შესვენების ადგილს.

რაც შეეხება წყალზე დამოკიდებულ სახეობებს, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, უშუალოდ საველე კვლევების ჩატარების დროს წავის არსებობის ნიშნები არ დაფიქსირებულა, თუმცა მისი არსებობა გამორიცხული არ არის, რადგან საპროექტო ჰესის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთებზე არსებობს წავისათვის ხელსაყრელი საბინადრო ჰაბიტატები. სამშენებლო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 2 წელი. ამასთან, გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე წყლის ხარისხზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ზედაპირული წყლის ობიექტზე და მათ სიახლოვეს ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებთან, რაც წარმოდგენილი ინფორმაციით იქნება მცირე მასშტაბის და მოკლევადიანი. შესაბამისად წავზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკი მშენებლობის ფაზაზე მოსალოდნელი არ არის. სტორი 1 და სტორი 2 ჰესების ექსპლუატაციის ფაზაზე წავზე ზემოქმედების რისკი არსებობს მდინარეში წყლის დონის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას და აქედან გამომდინარე წავის საკვები ბაზის შემცირებას. ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელთაგან მნიშვნელოვანია: მდინარეთა პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მონაკვეთების ხელოვნური დათევზიანება, სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტად გატარება, მდინარის კალაპოტის მდგომარეობის მონიტორინგი ყოველი წყალუხვობის შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში კალაპოტის გაწმენდა და ერთარხიანი დინების უზრუნველყოფა და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ჰესის გავლენის ზონაში ჩატარებული იქთიოფაუნის კვლევებისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, დაფიქსირებულია ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta fario* Linnaes), მურწა (*Luciobarbus mursa*), ჩვეულებრივი მარდულა, სწრაფულა (*Alburnoides bipunctatus*), მტკვრის თაღლითა (*Alburnus filippi Kessle/Kura Bleak*).

გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია იქთიოფაუნაზე ზემოქმედება ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. ვინაიდან, საპროექტო ჰესის ზედა ბიეფში მდებარეობს სტორი 1 ჰესი, მდინარის წყლის ხარჯის კლების გათვალისწინებით, ადგილი ექნება იქთიოფაუნაზე კუმულაციურ ზემოქმედებას. შპს „სტორი ენერჯის“ მიერ დამატებითი ინფორმაციის სახით, წარმოდგენილია წყლის ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასების დანართი, სადაც შეფასებულია წყლის შემცირების შედეგად გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო სტორი 2

ჰესისთვის წყლის აღება მოხდება სტორი 1 ჰესის გამყვანი არხიდან და დამბის მოწყობა დაგეგმილი არ არის, რაც გარკვეულად შეამცირებს კუმულაციური ზემოქმედების რისკებს, კერძოდ: მდ. სტორის კალაპოტში დამატებით მეორე დამბა არ იარსებებს და იქთიოფაუნისათვის არ შეიქმნება დამატებითი ბარიერი თევზის მიგრაციის დაბრკოლებისათვის. ასევე დოკუმენტში მითითებულია, რომ მდ. ეშმაკისლელეს შესართავის ზედა დინებაში სტორი 1 ჰესის კაშხლამდე 10-50 მეტრი სიმაღლის რამდენიმე ჩანჩქერია, რაც ბარიერს ქმნის თევზის მიგრაციის თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, სტორი 1 ჰესის ზედა ბიეფში დაფიქსირებულია ნაკადულის კალმახის არსებობა, რაც დამახასიათებელია ამ სახეობისათვის, რომელიც ბუნებრივი ან ხელოვნური ბარიერის არსებობის შემთხვევაში ზედა ბიეფში ქმნის მიკრო პოპულაციებს. სტორი 1 და სტორი 2 ჰესების ექსპლუატაციის ფაზაზე წავზე ზემოქმედების რისკი არსებობს მდინარეში წყლის დონის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყო წავის საკვები ბაზის შემცირებასთან. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ზემოქმედების რისკების შემცირება შესაძლებელი იქნება მიზანმიმართული შემარბილებელი ღონისძიებების სისტემატურად გატარებით, როგორცაა: მდინარეთა პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მონაკვეთების ხელოვნური დათევზიანება, სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტად გატარება, მდინარის კალაპოტის მდგომარეობის მონიტორინგი ყოველი წყალუხვობის შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში კალაპოტის გაწმენდა და ერთარხიანი დინების უზრუნველყოფა და სხვა. იქთიოფაუნაზე ზემოქმედების რისკების შემცირებისა და საარსებო გარემოს შენარჩუნების მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საფეხურებიანი თევზსავალისა და თევზამრიდი მოწყობლობების გამოყენება და შესაბამისი ეკოლოგიური ხარჯის გატარება. შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებებიდან პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია: მდ. სვიანასხევის ბუნებრივი ჩამონადენის სისტემატური მონიტორინგი, რისთვისაც მოხდება ხარჯმზომის დამონტაჟება; დამყარდება კონტროლი კაშხლის ქვედა დინებაში ეკოლოგიური ხარჯის სისტემატურად გატარებაზე; მუდმივად გაკონტროლდება თევზსავალის და თევზამრიდის ტექნიკური გამართულობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდება გასუფთავება; საჭიროების შემთხვევაში წყალმიმღების ზედა ბიეფის ნატანისაგან გაწმენდა (წყლის დინების მიმართვა წყალმიმღების ღიობისაკენ) მოხდება ხელით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოხდება ტექნიკის გამოყენება; დაწესდება მონიტორინგი ზედაპირული წყლების ხარისხის კონტროლისთვის და საჭიროების შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები და ა.შ. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნულ შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად, იქთიოფაუნაზე კუმულაციური ზემოქმედების შემცირების მიზნით, დაგეგმილია მდ. სტორის და მდ. სვიანასხევის ხელოვნური დათევზიანება.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სტორი 2 ჰესის პროექტის გავლენის ზონაში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საპროექტო არეალში საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით მაღალი რისკის უბნები არ დაფიქსირებულა. თუმცა გვირაბის გამოსასვლელ პორტალსა და გამთანაბრებელ რეზერვუარს შორის, მისასვლელი გზის მოწყობის პროცესში შესაძლოა მოხდეს

ქვათაცვენის გააქტიურება (მონაკვეთის საწყის წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: X-536383, Y-4670462, ხოლო ბოლო წერტილის კოორდინატები: X-536122, Y-4670281), ასევე ქვათაცვენის გარკვეული რისკები არსებობს სამშენებლო შტოლნის შესასვლელი პორტალის და მასთან მისასვლელი გზის (მონაკვეთის საწყისი წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: X-537524, Y-4671102, ხოლო ბოლო წერტილის კოორდინატები: X-537279, Y-4671042) მოწყობის პროცესში. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკების შემცირების მიზნით გატარდება სხვადასხვა სახის შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა: ფერდობების გასუფთავება აქტიურ დინამიკაში მყოფი ლოდებისაგან და გამოფიტული მასალისაგან; საჭიროების შემთხვევაში ფერდობების დაფარვა ბეტონით; ქვათაცვენის მაღალი რისკის უბნებზე დამცავი ბადეების მოწყობა; საპროექტო დერეფნის სენსიტიურ მონაკვეთებზე ფერდობის გამაგრებითი სამუშაოების შესრულება და საჭიროების შემთხვევაში დამცავი ნაგებობების მოწყობა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გამთანაბრებელი აუზიდან ჰესის შენობამდე არსებულ მონაკვეთზე მოხდა 7 შურფის (სიღრმე 3.0 მეტრი) გაყვანა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ აღნიშნული უბნის ფერდობები აგებულია შემდეგი ქანებით: 1. მეოთხეული ასაკის დელივიურ-პროლივიური ნალექებით, რომლის სიმძლავრე მერყეობს 0.20-მეტრიდან - 0.40 მეტრამდე. 2. ქვედა იურული ასაკის ქანებით - ფიქლებით საშუალო სიმტკიცის, სიმძლავრე მერყეობს 3.30 მეტრიდან- 3.10 მეტრამდე. აღნიშნულ უბანზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პროცესში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, არასახიფათო ნარჩენები განთავსდება კონტეინერებში, რომელიც პერიოდულად დაიცლება და გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსებისთვის მოეწყობა დახურული სათავსოები. სახიფათო ნარჩენების გატანას და შემდგომ მართვას უზრუნველყოფს აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად სავსე სამუშაოების და საფონდო მასალების კვლევის შედეგების მიხედვით პროექტის გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. მიწის სამუშაოების შესრულების დროს არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის შემთხვევაში მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებით მოთხოვნების დაცვა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, სამინისტროს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდებზე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 29 ოქტომბერს თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ფშაველის

ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „სტორი ენერჯის“, შპს „გამა კონსალტინგის“ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სოფ. ფშაველში, ასევე სოფ. ფშაველის და სოფ. ლეჩურის მაცხოვრებლები. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში ჩატარებული ჰიდროლოგიური კვლევების ვალიდურობას, მონაცემების შეფასების ნორმებს და სტანდარტებს, მდინარის ჩამონადენის ცვლილების კონტროლის მექანიზმებს. დაფიქსირებულ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სამინისტროს, საკონსულტაციო და საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე დასმული საკითხები/შენიშვნები და გაცემული პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 ქვეპუნქტების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე შპს „სტორი ენერჯის“ 11,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („სტორი 2 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „სტორი ენერჯიმ“ საქმიანობა განახორციელოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

4. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ქვესადგურზე ავარიული ზეთშემკრების დამატებითი საპროექტო დოკუმენტაციის (ტიპი, მოცულობა და სხვა პარამეტრები) სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
5. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესების ვიზუალური მონიტორინგის წარმოება. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესებით დამაბულ უბნებზე შესაბამისი დამატებითი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება. მონიტორინგის შედეგები, წელიწადში ორჯერ, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად შესათანხმებლად წარმოადგინოს სააგენტოში. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული ღონისძიებების გეგმის შესაბამისად.
6. შპს „სტორი ენერჯიმ“ ჰესის ექსპლუატაციაში შესვლამდე მდინარის იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზეგავლენის საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს მდინარის დათევზიანების გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც მოცემული იქნება შესაბამისი ექსპერტის დასაბუთებული დასკვნა მდ. სტორში და მდ. სვიანასხევში გასაშვებ ინდივიდთა ასაკის/ზომების, წონის და სხვა საჭირო ინფორმაციის, აღნიშნული საკომპენსაციო ქმედებების საკმარისობისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ. მდინარის დათევზიანება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. შპს „სტორი ენერჯიმ“ დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც განსაზღვრული იქნება ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში წყლის ხარჯის შემცირების გამო, წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე დაკვირვების საკითხი. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.
8. შპს „სტორი ენერჯიმ“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება;
9. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების შემუშავება Shp ფაილებთან ერთად და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
10. შპს „სტორი ენერჯიმ“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებამდე სააგენტოსთან შეთანხმებით უზრუნველყოს ხარჯმზომების მოწყობა (ტიპისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით). მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივად უზრუნველყოს წყლის ხარჯების მონიტორინგი და შედეგების ყოველკვარტალურად სააგენტოში წარმოდგენა. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოსთან შეთანხმებით უზრუნველყოს ეკოლოგიური ხარჯის ოდენობის გაზრდა;

11. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპის განახლებული მონიტორინგის გეგმის/პროგრამის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გვირაბიდან წყლის ფილტრაციის მონიტორინგის მეთოდში დამატებით იქნება გათვალისწინებული, წყლის ქიმიური ანალიზი (მონიტორინგის სიხშირისა და პერიოდის გათვალისწინებით);
12. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე დამატებით უზრუნველყოს სადაწნო მილსადენის გრძივი პროფილისა და ტიპური განივი ჭრილების სქემების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნება სამშენებლო მექანიზმების განლაგება;
13. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს თევზსავალზე ფსკერული ღიობის გამოუყენებლობის შესახებ შესაბამისი დასაბუთების სააგენტოში წარმოდგენა;
14. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის ელექტრომომარაგების შესახებ დეტალური ინფორმაციის (მათ შორის ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერის შესაბამისი პოლიგონური ფენის shp ფაილების და სქემატური ნახაზების) შესათანხმებლად წარმოდგენა სააგენტოში;
15. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოს გვირაბიდან გამონაჟონი ჩამდინარე წყლის ხარისხის მონიტორინგის შედეგების კვარტალში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა;
16. შპს „სტორი ენერჯიმ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების“ პროექტით გათვალისწინებული ნორმების დაცვა;
17. შპს „სტორი ენერჯიმ“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
18. შპს „სტორი ენერჯიმ“ საქმიანობა განხორციელოს დიაბაზისა და ასპიდური ფიქლების გამოვლინების ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე;
19. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
20. შპს „სტორი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების განთავსების, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების ან/და წყალჩაშვების შემთხვევაში უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

21. შპს „სტორი ენერჯიმ“ სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს;
22. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
23. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სტორი ენერჯის“;
24. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სტორი ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
25. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
26. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო